საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 201

12/08/2021

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ დავების განმხილველი ორგანოს წევრის განსაზღვრის შესახებ

„დავის განმხილველი ორგანოების რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 დეკემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დავის განმხილველი ორგანოების რეგლამენტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის N168 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს სხდომაზე საჩივრის ზეპირი განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში ან მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის ხელმძღვანელი.

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი